დავით მახაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფიზიკური აღზრდის საკითხები იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში და თანამედროვეობა

DOI: 10.52340/erp.2024.05.41

აბსტრაქტი

ქართული სახელმწიფო მიზნად ისახავს ისეთი სასკოლო სისტემის შექმნას, რომელიც თითოეულ მოსწავლეს მისცემს სხვა უნარებთან ერთად ფიზიკური განვითარების უნარ-ჩვევების შეთვისების თანაბარ შესაძლებლობას. აქტუალობას არ კარგავს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური შეხედულებები მოსწავლეთა მიერ ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარების მიხედვით. ამავდროულად, იაკობ გოგებაშვილი იმ მოღვწეთა რანგს ეკუთვნის, რომელთა შემოქმედების განხილვა საუკუნეების გადასახედიდან ტოვებს ახლის ძიების განცდას, პარალელების გავლებას თანამედროვეობასთან. ნაშრომში მიმოხილულია ეროვნული სასწავლო გეგმის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივ სტანდარტებში მოცემული საკითხები და გამოთქმულია მოსაზრება, რომ სკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლების არსებული მდგომარეობა გვიჩვენებს ბევრ ხელისშემშლელ ფაქტორს, რომელთა შემცირება/აღმოფხვრა სპორტის სწავლებას უფრო ნაყოფიერსა და შედეგიანს გახდიდა. საკითხი მეტად მნიშვნელოვანია და მისი შესწავლა, ვფიქრობთ, განათლების მკვლევართა, პედაგოგთა, მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ერთობლივი, სისტემური კვლევის საგანია. მიღებული შედეგები კი, ვფიქრობთ, წაადგება თავად განათლების რეფორმის მიმდინარეობას და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლებას უფრო შედეგიანს გახდის.

საკვანძო სიტყვები: მოსწავლე, ფიზიკური აღზრდა, ჰარმონიული განვითარება.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიხედვით(2024წ), განათლების სისტემა, სხვადასხვა ცოდნასა და უნარებთან ერთად, უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს. ხოლო სახელმწიფო, თავის მხრივ, მიზნად ისახავს ისეთი სასკოლო სისტემის შექმნას, რომელიც

თითოეულ მოსწავლეს მისცემს აღნიშნული უნარ-ჩვევების შეთვისების თანაბარ შესაძლებლობას. ამიტომ, იქვე განსაზღვრულია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ძირითადი გზები, სადაც ერთ-ერთ ძირითად გზად ეროვნული სასწავლო გეგმა მოიაზრება(2018-2024 წწ) და მისი შემუშავება ხდება სწორედ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების საფუძველზე.

იაკობ გოგებაშვილის, როგორც პედაგოგის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის შესახებ მრავალი შრომა და დისერტაციაა შესრულებული. მისი პედაგოგიური მემკვიდრეობის შესწავლას შრომები მიუძღვნეს: თავზიშვილმა, ლორთქიფანიძემ, ობოლაძემ, საყვარელიძემ, რამიშვილმა, გაგუამ, სარიშვილმა, გაფრინდაშვილმა, ასათიანმა და სხვებმა. მისი მრავალმხრივი შემოქმედების კვალდაკვალ, დიდი ადგილი აქვს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საკითხებს, რომელიც დღესაც მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალურია მომავალი თაობების ჯანსაღად აღზრდის საქმეში. იაკობ გოგებაშვილი ქართული პედაგოგიური აზროვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი გახლდათ და შესაბამისად, მისმა ნაშრომებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია მოსწავლეთა განათლებისა და აღზრდის, მათ შორის ფიზიკური აღზრდის საკითხებზე.

საყურადღებოა, რომ გოგებაშვილი კარგად იცნობს ჯერ კიდევ პლატონისა და არისტოტელეს მიერ განმარტებულ პიროვნების ჰარმონიული აღზრდის იდეას, რომელიც დღემდე კაცობრიობის ორიენტირია აღზრდისა და განათლების სისტემის მოწყობის თვალსაზრისით და მათი ნააზრევის დამოწმებით, საუბრობს პიროვნების სხვადასხვა უნარებთან ერთად ფიზიკურ განვითარებაზე, რომელიც პიროვნების ჰოლისტური განვითარების ერთ-ერთი ქვაკუთხედია.

დიდი პედაგოგი სასწავლო სახელმძღვანელოებში ყურადღებას ამახვილებს მოსწავლეთა ისეთ აქტივობებზე, რომელიც ცხოვრებისეული გამოცდილების დაუფლებას ემსახურება და ფიზიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. გოგებაშვილი მიიჩნევს, რომ ბავშვის სრული განვითარებისთვის აუცილებელია არა მხოლოდ ინტელექტუალური, არამედ ფიზიკური აღზრდაც. სწორედ მისი პედაგოგიური ნააზრევი აგრძელებს ზემოთ ნახსენები ფილოსოფოსების მიერ გამოთქმულ და ახლა უკვე თანამედროვე პედაგოგიკისა და ბავშვის ფსიქოლოგიის შეხედულებათა მთავარ ღერძს,

ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაზე ზრუნვას. გოგებაშვილის ნაშრომებში ფიზიკური აქტივობა და სპორტი განიხილება, როგორც ჯანმრთელობის, დისციპლინის და ეროვნული შეგნების განვითარების საშუალება. გოგებაშვილი მტკიცედ მიიჩნევს, რომ ბავშვებმა უნდა შეისწავლონ შიდა და გარე სამყაროს რეალობა, რაც ფიზიკური აღზრდის პროგრამების საშუალებითაც შესაძლებელია.

მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის და ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების ფონზე, ფიზიკური აღზრდის საკითხები კვლავ აქტუალური ხდება, განსაკუთრებით თანამედროვე ცხოვრების აქტიური სტილის და ჯანმრთელობის პრევენციის კუთხით.

თანამედროვეობის ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც თანამედროვე ინტერნეტიზაციისა და საერთო უმოძრაობის, ახალგაზრდობის,,არასპორტული ცხოვრების“ რეალურმა საფრთხემ წამოწია წინ, მოითხოვს, რომ მათ შევუქმნათ უკეთესი პირობები ფიზიკური აღზრდის მიმართულებით ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის, რაც სწორედ გოგებაშვილის იდეების გაგრძელებაა. შესაბამისად, გოგებაშვილის შემოქმედება აქტუალური რჩება, რადგან ის სამუდამოდ ამკვიდრებს პიროვნების ფიზიკური და ინტელექტუალური განათლების ჰარმონიული თანაარსებობის იდეას.

ამავდროულად, იაკობ გოგებაშვილი იმ მოღვაწეთა რანგს ეკუთვნის, რომელთა შემოქმედების განხილვა საუკუნეების გადასახედიდან ტოვებს ახლის ძიების განცდას, პარალელების გავლებას თანამედროვეობასთან.

საყურადღებოა, რომ ახალი თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში ფიზიკური აღზრდა და სპორტი სავალდებულოა და საკითხთა ჩამონათვალი დალაგებულია სწავლის საფეხურებისა და რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულებით;

საგანში „ფიზიკური აღზრდა“ დაწყებით საფეხურზე შეისწავლება:,,მოძრაობითი (მოტორული) უნარების განვითარების საშუალებები, ფიზიკური ვარჯიშების სწორი შესრულების ტექნიკა, ცხოვრების ჯანსაღი წესი, ზოგადგანმავითარებელ ვარჯიშთა კომპლექსები, ბავშვთა ფიტნესი, სპორტის სახეობების ელემენტები მოძრავი და სახალისო თამაშების სახით“(ე.ს.გ., 2018-2024წწ., ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი სტანდარტი., გვ 415).

რაც შეეხება ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს საბაზო საფეხურზე, ის მოიაზრებს ფიზიკური აღზრდის მიმართულებით ბავშვთა საბაზო უნარების განვითარებას და ლოგიკურად ითვალისწინებს სპორტის სხვადასხვა (ინდივიდუალური, სათამაშო (გუნდური, ინდივიდუალური), ორთაბრძოლები) სახეობაში ვარჯიშებს ისე, რომ მათი მრავალფეროვანი არჩევანი ყველა მოსწავლეს ერთნაირად აძლევს საშუალებას, გამოავლინონ და განივითარონ თავიანთი ფიზიკური უნარები.

საყურადღებოა, რომ განათლების სისტემაში მოსწავლეთა ინკლუზიურობის კვალდაკვალ, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილზე ყველა ბავშვი, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები (მათთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე), ჩართულები უნდა იყვნენ მათზე მორგებულ ფიზიკურ ვარჯიშსა და თამაშებში, განახორციელონ პროექტები: ჯანსაღი ცხოვრების წესის, ოლიმპიზმის და სხვ. შესახებ, რაც მოსწავლეებს სასწავლო მასალის მრავალმხრივ გააზრებაში დაეხმარებათ.

მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საკითხები ესგ-ს საგნობრივი სტანდარტის მიხედვით გრძელდება საშუალო საფეხურზე, ასევე სავალდებულო კურსია და გულისხმობს მოსწავლის სისტემატურ ჩართულობას ფიზიკურ აქტივობებში. საგნის სწავლების ამ საფეხურზე მოიაზრება მოსწავლის ჩართულობა ფიტნესის გამაჯანსაღებელი და განმავითარებელი (ფიზიკური და გონებრივი) აქტივობების კომპლექსში, სპორტის სახეობებში, ქართული ტრადიციული სპორტული სახეობებში და მასობრივ გამაჯანსაღებელ სპორტში.

როგორც ვხედავთ, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საკითხები საკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი ეროვნულ სასწავლო გეგმაში, დაკონკრეტებულია სწავლის საფეხურების მიხედვით და ერთიან, ჰოლისტურ წარმოდგენას გვიქმნის ბავშვის ფიზიკური აღზრდისა და საჭირო უნარ-ჩვევების შეძენის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების შესახებ. იბეჭდება გრიფირებული სახელმძღვანელოები და მასწავლებლის წიგნები საგნობრივ სტანდარტში მოცემული საკითხების ეფექტურად განხორციელებისათვის. თუმცა, როგორც სკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლების არსებული მდგომარეობა გვიჩვენებს, ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორი

იკვეთება, რომელთა შემცირება/აღმოფხვრა სპორტის სწავლებას უფრო ნაყოფიერსა და შედეგიანს გახდიდა.

საკითხი მეტად მნიშვნელოვანია და მისი შესწავლა, ვფიქრობთ, განათლების მკვლევართა, პედაგოგთა, მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ერთობლივი, სისტემური კვლევის საგანია. მიღებული შედეგები კი, ვფიქრობთ, წაადგება თავად განათლების რეფორმის მიმდინარეობას და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლებას უფრო შედეგიანს გახდის.

გამოყენებული ლიტერატურა:
ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, 2024წ. თბილისი
გოგებაშვილი., პედაგოგიური თხუზულებანი, თბ. 1977
გოგებაშვილი ი., რჩეული ნაწერები, ტ.2. ტბ. „სახელგამი“, 1940
გოგებაშვილი ი., საგანძური, თბ. „განათლება“, 1982
გაფრინდაშვილი მ., ნარკვევები ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1. თბ., 1959.
https://mes.gov.ge/content.php?id=13272&lang=geo საგნის: ფიზიკური აღზრდა და სპორტი სტანდარტი, 2024წ.

Davit Makhashvili
Iakob Gogebashvili Telavi State University

Issues of physical upbringing in the work of Jacob Gogebashvili and modernity

Abstract

The Georgian state aims to create such a school system that will give each student an equal opportunity to acquire physical development skills among with other skills. Pedagogical views of Iakob Gogebashvili do not lose relevance according to the development of physical skills by students. At the same time, Iakob Gogebashvili belongs to the ranks of those authors, whose creations from the perspective of the centuries leave a feeling of searching for something new, drawing parallels with modernity. The paper reviews the issues contained in the physical education and sports subject standards of the national curriculum of Georgia. And the opinion is expressed that the current state of physical education and sports education in schools shows many hindering factors, the reduction/elimination of which would make sports education more fruitful and effective. The issue is very important and its study, we think, is the subject of joint, systematic research of education researchers, teachers, masters and doctoral students. We believe that the obtained results will help the education reform itself and make physical education and sports teaching more effective.

Key words: student, physical education, harmonious development